ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87. 8723089001**
თარიღი:**30/03/2023**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №3

ქ. ახმეტა, 29 მარტი, 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ.ონიაშვილი, გ.ქიბროწაშვილი
გ.შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ.კაიშვილი,
რ.გახუაშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, ზ.ფიცხელაური

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;**

/მომხსენებლი - მარინა მაისურაძე/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

3. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

4. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №35 განკარგულებაში დამატებების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

5. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №38 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა გააცნო ბიუჯეტის ცვლილების შესახებ ბიუროს დამსწრე წევრებს:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შიდა პარამეტრების ცვლილებების ასახვა.

შემოსულობები: შემოსულობების ნაწილი გაიზარდა საქართველოს მთავრობის 23 იანვრის N147 განკარგულების შესაბამისად 390,2 ათასი ლარით და 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებების შესაბამისად 752,7 ათასი ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა(ბანკის პროცენტი) გაიზარდა 65,0 ათასი ლარით.

სულ შემოსულობები იზრდება 1207,9 ათასი ლარით.

საგასავლო ნაწილი: ხარჯვითი ნაწილიც შესაბამისად გაიზარდა 1207,9 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 23 იანვრის N147 განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი 390,2 ათასი ლარი მოხმარდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.

2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებების შესაბამისად გამოყოფილი 752,7 ათასი ლარიდან:

1. სოფელ ომალოს (თუშეთში) წყალმომარაგების სათავისა და მაგისტრალის მოწყობისათვის გამოიყო 652,7 ათასი ლარი

2. ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილიურთა - ვესტომთა - საჩიღოლო - ვესტმოს და სოფ. ვესტომთა - გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოებისათვის დამატებით- 100,0 ათ. ლარი

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებები :

ზრდა:

1. აიპ კულტურის სახლის სუბსიდია გაიზარდა 36,0 ათასი ლარით/

2. აიპ წყლის სისტემების სუბსიდია გაიზარდა 2,0 ათასი ლარით,

3. მერიის კაპიტალური ხარჯები (ახმეტის შემოსასვლელში და ბახტრიონის გორაზე საქართველოს დროსების მოწყობა-მონტაჟისათვის) გაიზარდა 45,0 ათასი ლარით:

4. მერიდან საბავშვო ბაღების კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 75,0 ათასი ლარით

საიდანაც: აწყურისა და კოღოთოს ბაღების ავეჯის შესაძენად გათვალისწინებულია 25,0 ათასი ლარი , ახალშენის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ოდენობა გაიზარდა 5,0 ათასი ლარით, ბირკიანის ბაღი-5,0 ათასი ლარით, არგოხის ბაღი-5,0 ათასი ლარით, ომალოს ბაღი -10,0ათასი ლარით, მატნის ბაღის თანადაფინანსება 20,0 ათასი ლარით.

5. აიპ ტყეპარკების სპეცტექნიკის შეძენის ხარჯი (კაპიტ) - გაიზარდა 20,0 ათასი ლარით

6. ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციის სუბსიდია გაიზარდა 4,0 ათასი ლარით

7. კომისარიატის კაპიტალური ხარჯი(სახურავის მოწყობა) გაიზარდა 54,5 ათასი ლარით

8. გზებში სოფელ ხორხელში, იმერლიაანთუბანში მისასვლელი გზის თანადაფინანსება გაიზარდა 25, 0 ათასი ლარით.

9. კულტურაში ახალგაზრდობის მხარდაჭერის ხარჯები გაიზარდა 10,0 ათასი ლარით

10. აიპ კეთილმოწყობის სამსახურის კაპიტალური ხარჯი გაიზარდა 2,6 ათასი ლარით

11. სულ ზრდა 274,1 ათასი ლარი.

კლება:

1. მერიის კაპიტალური ხარჯები შემცირდა 9,5 ათასი ლარით აქედან: -ახმეტაში პოლიციის ყოფილი შენობის ოთახების რეაბილიტაციის ხარჯი შემცირდა -5,0 ათასი ლარით, -მაღრანის ადმინისტრაციულ შენობის რებილიტაციის ხარჯი შემცირდა -2,0 ათასი ლარით. ქ. ახმეტის სახელოვნებო სკოლის დარბაზის სახურავის რებილიტაციის ხარჯი შემცირდა 2,5 ათასი ლარით.

2. წყლის სისტემები: ომალოს წყალსადენის რებილიტაციის ხარჯების თანადაფინანსება შემცირდა 6,0 ათასი ლარით;

3. ტურისტული ინფრასტრუქტურა - ბიძინა ჩოლოყაშვილის ეკლესიასთან ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება 30,0 ათასი ლარით

4. მერიის ბაღების კაპიტალური - ქვ ალვნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის ხარჯი შემცირდა 50,0 ათასი ლარით

5. სპორტის კაპიტალური ხარჯები შემცირდა 101,0 ათასი ლარით, აქედან - ქ. ახმეტაში ცენტრალური სტადიონის ღობის რეაბილიტაციის ხარჯი შემცირდა 100,0 ათასი ლარით, კუწახტის სტადიონის მოწყობის ხარჯი -1,0 ათასი ლარით.

6. მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯებიდან, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად გამოყოფლი ხარჯი შემცირდა 10,0 ათასი ლარით;

7. აიპ კეთილმოწყობის სუბსიდია შემცირდა 2,6 ათასი ლარით

8. სულ კლება 209,1 ათასი ლარი

მომხსენებელმა უპასუხა კითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას

10 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (ანგარიში თან ერთვის ოქმს).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №30 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული დანართი (რუკა) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №35 განკარგულებაში დამატებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №35 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1 და 1.2 პუნქტები:

„1.1 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №1 ქუჩის:

ა) I შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის I შესახვევი“;

ბ) III ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის I ჩიხი“;

გ) II ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის II ჩიხი“;

დ) I ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის III ჩიხი“.

1.2 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №41 ქუჩის:

ა) I შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის II შესახვევი“;

ბ) I ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IV ჩიხი“;

გ) II შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის III შესახვევი“;

დ) II ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის V ჩიხი“;

ე) III შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IV შესახვევი“;

ვ) IV ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VI ჩიხი“;

ზ) III ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VII ჩიხი“;

თ) V ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VIII ჩიხი“;

ი) VI ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IX ჩიხი“;

კ) VII ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის X ჩიხი“;

ლ) VIII ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XI ჩიხი“;

მ) IV შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის V შესახვევი“;

ნ) V შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VI შესახვევი“;

ო) IX ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XII ჩიხი“;

პ) X ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XIII ჩიხი“;

ჟ) XI ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XIV ჩიხი“;

რ) VI შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VII შესახვევი“.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად

დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №38 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №38 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში მდებარე ცენტრალური ქუჩისთვის (№1 და №3 ქუჩები) ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში არსებულ ცენტრალურ ქუჩას (№1 და №3 ქუჩები) ეწოდოს ალავერდის მონასტრის დამაარსებლის **იოსებ ალავერდელის** სახელი (თანდართული რუკის თანახმად).“.

გ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1 და 1.2 პუნქტები:

„1.1 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №1 ქუჩის:

ა) V ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის I ჩიხი“;

ბ) IV ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის II ჩიხი“;

გ) III ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის III ჩიხი“;

დ) II ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის IV ჩიხი“;

ე) I ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის V ჩიხი“;

1.2 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №3 ქუჩის:

ა) I ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VI ჩიხი“;

ბ) II ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VII ჩიხი“;

გ) III ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VIII ჩიხი“.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{00} საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM